



იხილეთ მე-2 გვერდზე

ენციეთ გაზეთ „პ.ს.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს [www.psnews.ge](http://www.psnews.ge)-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა დაამტკიცა, რომელიც სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს, ამ სქემით უზრუნველყოფილია პედაგოგის მომზადება პროფესიისთვის. ასევე, სქემაში ასახულია როგორი უნდა იყოს საუნივერსიტეტო პროგრამა, პრო-

## ახალი სქემით, „ჩაჭრილი“ მასწავლებელი სკოლაში მოვალეობის შემსრულებლად დარჩება

ფესიაში შესვლის გზები და როგორ უნდა შეუწყუთო ხელი პედაგოგს კარიერულ წინსვლაში. ახალი სქემით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორც: მასწავლებლის პროფესია, როგორც რეგულირებადი პროფესია, მასწავლებლის მომზადების ახალი საუნი-

ვერსიტეტო პროგრამა, პროფესიაში შესვლის ალტერნატიული გზები, მასწავლებლის შეფასების შიდა და გარე კომპონენტი სხვ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, აქამდე მოქმედი სერტიფიცირების მოდელის ძირითადი ხარვეზი იყო ის,

რომ მოდელი იყო არასისტემური და მასწავლებლის შეფასება ხდებოდა მხოლოდ საგამოცდო ფორმატში.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## უთვალავი წინდის აქციას საქართველოს შეუერთდა!

### მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს

დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის მიზეზსაც მშობლების სასქესო უჯრედების გაყოფის პროცესში წარმოშობილი დარღვევა წარმოადგენს, რის შედეგადაც ნაყოფის უჯრედებში 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა ხვდება. სწორედ ეს ზედმეტი ქრომოსომა განაპირობებს დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ფიზიკურ ნიშნებს (სახის ბრტყელი პროფილი, მოკლე კისერი, პირის ზომისთან შედარებით დიდი ენა და სხვა), ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას და ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო საჭიროებებს (გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები, მხედველობისა და სმენის დარღვევები და სხვა).

### დაუნის სინდრომი - მითაბი და სინამდვილე

საზოგადოებაში არსებული სტიგმა და მცდარი შეხედულებები ხელს უშლის დაუნის სინდრომის მქონე პირთა პოტენციალის რეალიზებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სპეციალისტების ადრეული ჩარევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ წარიმართება ამ სინდრომის მქონე ბავშვისა თუ მოზრდილის ცხოვრება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ზუსტი ინფორმაცია გაგვანდეს აღნიშნულ დიაგნოზთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია საზოგადოებაში გავრცელებული მითები და მათი შესაბამისი რეალური ფაქტები:

**მითი:** დაუნის სინდრომი იშვიათი დაავადებაა.

**სინამდვილე:** დაუნის სინდრომი ყვე-



ლაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადებაა და ყოველწლიურად საშუალოდ ყოველ 1000 ბავშვში ერთი სწორედ აღნიშნული სინდრომით იბადება.

**მითი:** დაუნის სინდრომის მქონე ადა-

მიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირეა.

**სინამდვილე:** ბოლო წლებში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუთანაბრდა

მათი სხვა თანატოლების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობას, რასაც ხელი შეუწყობს მათთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

### აურჯაური ოპერის კარტან

იხილეთ მე-3 გვერდზე

### გასულ წელს ქუთაისში სასწოვრებალი 194-მა პირმა გოითსოვა, თუმცა, ჭირი პერსპექტივა მიიღო

იხილეთ მე-3 გვერდზე

### რა არ უნდა შეუქვეითო სწრაფი კვების ობიექტებში

ყოფილი თანამშრომლების რჩევები

იხილეთ მე-5 გვერდზე

### სივსუქე — გლოვალური გამონევა

იხილეთ მე-6 გვერდზე

### მანანალა სსოვლაგი ურბანულ გარემოში

იხილეთ მე-6 გვერდზე

### ქართული ჩურჩხალა მსოფლიოს ყველაზე გემრიელი ტკბილეულის ათეულშია

იხილეთ მე-5 გვერდზე

### მასწავლებლის კარიერა

#### „ეს სქემა მისაღებია, ოღონდ, თუ იქნება შესაბამისი მონიტორინგი“

იხილეთ მე-4 გვერდზე



#### „არ მჭირდება ქვოტირებით ინიცირებული „ნებაართვა“ მე „მე“ პარ!“

იხილეთ მე-7 გვერდზე



# რუსეთის კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ანექსიისკენ

რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ანექსიისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — ასეთია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის პოზიცია რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთს დე ფაქტო რეჟიმს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე.

„რუსეთის ფედერაციის მიერ ცხინვალის რეჟიმთან ე.წ. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება“ ხელმოწერა არის კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ტერიტორიების ანექსიისაკენ გადადგმული. ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთმა ამგვარი ქმედებით უპასუხა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ გადადგმულ ჩვენს არაერთ ნაბიჯს და ჩვენს ძალისხმევას“ — განაცხადა ირაკლი ლარიაშვილმა.

რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის ხელშეკრულება ე.წ. მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ 18 მარტს გაფორმდა და იგი ოკუპირებული რეგიონის სრულ ინტეგრაციას ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციაში. შეთანხმებას ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერმა ლეონიდ თიბლოვმა მოაწერეს. ე.წ. „ხელშეკრულების“ პრაქტიკის თანახმად, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და ძალისხმევის სტრუქტურები უნდა გაერთიანდეს. შეთანხმება 25 წლის ვადით, შემდგომ პერიოდებში მისი ვადრძელების შესაძლებლობით გაფორმდება.

მსგავსი შეთანხმება რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან გასული წლის ნოემბერში გაფორმა. საერთაშორისო თანამეგობრობა ე.წ. ხელშეკრულებებს არ აღიარებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით დონდუამ აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის გამო ეუთო-ს მუდმივ საბჭოს მიმართა და ხაზგასმით დააფიქსირა, რომ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონებთან გაფორმებულ ე.წ. „ხელშეკრულებებს“ იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, აღნიშნული ნაბიჯებით რუსეთის ფედერაცია ხელს უწყობს ვითარების დესტაბილიზაციას არა მხოლოდ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ მთლიანად რეგიონში და ევროპულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. 18 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულებას არ აღიარებენ და ლეგიტიმურად არ მიიჩნევენ ამერიკის შეერთებული შტატები. ევროკავშირი და ნატო ლეგიტიმურად, საქართველოს ხელისუფლება კი საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერებას ცდილობს. ამ მიზანს ემსახურებოდა სავაჭრო საქმიანობის მინისტრის შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღეს.



„ეს ხელშეკრულება არ უწყობს ხელს საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობას, იმუშაოს რეგიონში სტაბილურობის და უსაფრთხოების განვითარებისთვის. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობას აქვს ძალიან მკაფიო პოზიცია. ეს ე.წ. ხელშეკრულება არღვევს საერთაშორისო ნორმებს. უადრესად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისგან არის მკაფიო მოწოდება რუსეთისთვის, რომ დაემორჩილოს საერთაშორისო წესებს“ — განაცხადა ბერუნიშვილმა დიპლომატიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ.

„ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია, ჩვენ განვაგრძობთ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას“ — განაცხადა 18 მარტს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ჯენ საკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ლეგიტიმურად არ ცნობს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთან — სამხრეთ ოსეთთან — ხელმოწერილ ე.წ. ხელშეკრულებას. არც ეს და არც აფხაზეთთან 2014 წლის ნოემბერში ხელმოწერილი შეთანხმება არ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას.

ხელშეკრულებას, რომელსაც 18 მარტს კრემლში მოწერა ხელი, „უბრალო ქაღალდებს“ უწოდებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარაიშვილი. ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი კი ამბობს, რომ ამ ხელშეკრულებით რეალურად აღარ არსებობს რუსეთის მიერ ფორმალურად აღიარებული კვაზისახელმწიფო სამხრეთ ოსეთი. ეს არის საერთაშორისო თვალსაზრისით უკანონო დოკუმენტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით რუსეთს ხელი შეეშლება რეგიონის ეფექტურ მართვაში. კახა გოგოლაშვილს ამ გზაზე საქართველოსთვის საუკეთესო გამოსავლად საკითხია უკრაინასთან ერთ პაკეტში განხილვა მიანიშნა.

ეროვნული შტატების, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის — მხრიდან და მეგონია, ისინი მზად არიან უკრაინისა და საქართველოს ეს საკითხები გაერთიანონ, ერთ თემად წარმოაჩინონ და შემდეგ უკვე სანქციები და ყველა სახის ქმედება რუსეთის წინააღმდეგ ორივე მიმართულებით იყოს განხორციელებული“ — ამბობს კახა გოგოლაშვილი.

საგარეო საკითხებში ექსპერტ ნიკა ჩიტაძის განცხადებით, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის გაფორმებული ე.წ. შეთანხმება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. 18 მარტს ე.წ. ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი ჩიტაძემ „პირველის“ პრესკლუბში შეაფასა.

„ეს ე.წ. ხელშეკრულება შემდგომი ანექსიისკენ მიმართული მცდელობაა. ამ ხელშეკრულებასა და აფხაზეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას შორის მსგავსება არის, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თუ აფხაზეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს სეპარატისტულ ხელისუფლებასთან, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილი აქვს, ცხინვალის მიზანია ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდეს და ე.წ. დიდი ოსეთის სახელმწიფოში გაერთიანდეს. გარდა ამისა, თუ რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის გადამორიცხული თანხები ბიუჯეტის 70%-ს ფარავს,

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში 99%-ია. ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ყველა დე ფაქტო ძალისხმევა რუსეთს ექვემდებარება. ამიტომ ამ შემთხვევაში ანექსიაზე საუბარი,“ — განაცხადა ჩიტაძემ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აუცილებელია აქტიური თითქმის მიმართ სანქციები გამკაცრდეს. თუმცა, მისივე აზრით, აქტიურად ერთად, რუსეთის იმპერალიტურ ზრახვებს ჩვენც რაღაც რეალური და ხელშესახები უნდა დაუფიქროსპიროთ.

„თუ საქართველო ევროპის მიმართულებით ივლის და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში დადგება, შეიძლება ამან დე ფაქტო მთავრობების საქართველოთი დაინტერესება გამოიწვიოს. მაგრამ როდესაც ქვეყნის ეკონომიკა ვერ ვითარდება და არის ძალზე შორის კონფორტაცია, ეს მათთვის ცუდი მაგალითია. შეიძლება რუსეთი ვაკრიტიკოთ იმპერალიტური ზრახვების გამო, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ რას ვუპირისპირებთ ამ ზრახვებს? რითი ვცდილობთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების დაინტერესებას?“ — ფიქრობს ნიკა ჩიტაძე.

ცოცხალი ბაბადაძე

## ახალი სქემით, „ჩაჭრილი“ მასნავლებელი სკოლაში მოვალეობის შემსრულებლად დარჩება

პირველი გვერდიდან

არ იყო ორიენტირებული მასწავლებლის განვითარებაზე და სრულად ვერ ასახავდა მასწავლებლის საქმიანობას და მის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სამინისტრო მიიჩნევს, რომ მასწავლებლის შეფასების ახალი სისტემის დანერგვით, უკვე გამოჩნდება რამდენად ეფექტურად იყენებს პედაგოგი მის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს.

რა შეიცვლება სქემის მიღების შემდეგ?

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ახალი სქემის ამოქმედების საფუძველზე, მოსწავლის სასწავლო შედეგები გაუმჯობესდება, მივიღებთ გაძლიერებულ და გაძლიერებულ პედაგოგთა კორპუსს. მოხდება სისტემაში თავიდანვე კვალიფიციური კადრის შედინება. სქემის ფარგლებში მოხდება მნიშვნელოვანი ფუნქციების სკოლაზე

დელეგირება და ამით მისი ავტონომიურობის გაზრდა. ყველა შემდგომი ქმედების დასაგეგმად აუცილებელი წინაპირობა იქნება შეფასების კომპონენტი, რომლის სკოლაში არარსებობა ნიშნავდა, რომ სკოლა არ იყო ორიენტირებული სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზე.

რაც შეეხება გარე შეფასებებს, იქნება შეფასების ორი ფორმა — საგნობრივი გამოცდა და პრაქტიკაში დაკვირვება. რადგან მასწავლებლის პროფესია არის რეგულირებადი პროფესია, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო აყენებს მინიმალურ მოთხოვნებს. ხოლო ძირითადი ფუნქცია და აქტივობები ხორციელდება სკოლაში.

სისტემის განუყოფელი ნაწილია ფინანსური მხარდაჭერა, რაც ნიშნავს ფინანსურ მოტივაციას ყველასთვის, თუმცა კარიერული საფეხურების განსხვავების გათვალისწინებით. უკეთესი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, კარიერულ საფეხურებში მოძრაობა დაგეგმილია მაქსიმალურად მოქნილად.

მასნავლებელთა ახალი პროფესიული სქემის რამდენიმე დეტალი

სქემის განუყოფელი ნაწილია პედაგოგთა საუნივერსიტეტო პროგრამა. ის პირები, რომლებიც ახალი საუნივერსიტეტო პროგრამით მიიღებენ განათლებას, 5 წლის მანძილზე 300 კრედიტს დააგროვებენ და ახალი სქემით პირდაპირ მეორე საფეხურზე აღმოჩნდებიან. იმ პირებს კი, რომლებიც პროფესიაში ალტერნატიული გზით შესვლას გადაწყვიტენ — ანუ სხვა პროფესიიდან შევლენ, სკოლაში 60-კრედიტიანი საუნივერსიტეტო პროგრამის დაძლევა მოუწევთ. სწავლების პროცესს კი მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებს. ასევე, ახალი სქემით გათვალისწინებულია ისიც, რომ პედაგოგობის მსურველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი.

„დღეს გვყავს ისეთი პედაგოგები, რომლებიც პირდაპირ სკოლის ატესტაციით გახდნენ მასწავლებლები. ახალი სქემის მიხედვით, სწავლების უფლება მომავალში მხოლოდ იმ პირებს ექნებათ, ვისაც ექნება მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი. თუმცა მათაც მოუწევთ 60 კრედიტიანი პროგრამის გაკლა. ეს არ იქნება ტრენინგი, აღნიშნული 60 ქულის დაგროვება მასწავლებლობის მსურველს საუნივერსიტეტო დონეზე მოუწევს,“ — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

ახალი სქემის თანახმად, პედაგოგები ოთხ კატეგორიად დაიყოფიან პირველ საფეხურზე იქნებიან პრაქტიკოსი პედაგოგები, მეორეს — უფროსი პედაგოგები დაიკავებენ, მესამე კატეგორიას — წამყვანი მასწავლებლები, მეოთხე კატეგორიას კი მენტორი მასწავლებლები.

თუმცა, კატეგორიებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, პირველი დაყოფის შემდეგ, მენტორი მასწავლებლები არ იქნებიან. მესამე საფეხურზე, ანუ წამყვანი პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ — სკოლების სერტიფიცირებულ დირექტორებს და იმ მასწავლებლებს, ვისაც დოქტორის ხარისხი აქვს. მეორე კატეგორია მიენიჭებათ სერტიფიცირებულ პედაგოგებს; პირველ საფეხურზე კი ყველა სხვა მასწავლებელი აღმოჩნდება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**მთავარი რედაქტორი:**  
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**  
ლალი კუბრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.


**ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „**PS**“ („პოსტსოციალიზმი“).  
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთი „**PS**“-ის კლასიფიკაციის კოდი:  
**UDC (უკ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.  
• psnews27@gmail.com  
• www.psnews.ge



# აურზაური ოპერის კართან

ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრი კვლავ ხმაურის საბაზი ვახდა. ამჯერად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურას აპროტესტებს, რომელიც კულტურის მინისტრმა უნდა დაამტკიცოს.



ოთხი კანდიდატურიდან საკონკურსო კომისიამ ამ თანამდებობაზე ირინა ლომინაძე დაასახელა, რომლის ლობიერებაში თეატრის თანამშრომლები ქალაქის მერს ადანამაულებენ.

მათმა ნაწილმა გასულ კვირას ქალაქის მერიასთან ახალი სამხატვრო დირექტორის კანდიდატურა ღიად გააპროტესტა. მათი ინფორმაციით, საკონკურსო კომისიამ 4 კანდიდატიდან ქორმაისტერი ირინა ლომინაძე აირჩია და გადაწყვეტილება კულტურის მინისტრს ხელმოსაწერად წარუდგინა. „რუსთავი 2“-თან საუბარში ისინი აცხადებდნენ:

**ნათია ჩანქელიანი**, ოპერის გუნდის წევრი: „ქუთაისის მუსიკალურმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს პიროვნება არ უნდა მოვიდეს თეატრში“.

**კობა ლილუაშვილი**, ფლეიტისტი: „ჩვენ ყველაზე მეტი კომისია ვართ ამ ოპერის თეატრისთვის და ჩვენი არჩევანი არის ბატონი ლაშა ნიჭაბაძე“.

ლაშა ნიჭაბაძე ოპერის სოლისტი, 4 საერთაშორისო ვოკალური კონკურსის ლაურეატი, აქედან 2 ოქროს მედლის მფლობელი საქართველოდან ლა სკალას აკადემიის პირველი კურსდამთავრებულია. ის წლების განმავლობაში მსოფლიოს ცნობილ თეატრებში გამოდიოდა. რეკომენდაციას კი ანიტა რაჭველიშვილი, ნინო სურგულაძე, ნიკოლოზ რაჭველი და სხვა არაერთი მუსიკოსი უწევს.

„ირინა ლომინაძეს კი რეკომენ-

დაცია გაუწია ქუთაისის ოპერის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გოგი ჭიჭინაძემ და ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ“, – ამბობს ლაშა ნიჭაბაძე.

ლაშა ნიჭაბაძის კონკურენტი, ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის მთავარი პრეტენდენტი, მერის მფარველობას კატეგორიულად უარყოფს.

**ირინა ლომინაძე**: „გამორიცხულია! არ დაიჯეროთ ეს! მე რომ დავამთავრე კონსერვატორია, ჩამოვედი, იმის შემდეგ ძალიან დიდი საქმე მაქვს გაკეთებული. დავდექი მე და ლაშა: მან რა ვააკეთა ქუთაისისთვის?“

საკონკურსო კომისიის ქუთაისის მერის გავლენაზე საუბრობს ოპერის ყოფილი დირექტორიც.

**ხატია ვედმედევა**, ქუთაისის ოპერის ყოფილი დირექტორი: „შოთა მურღულია, ქუთაისის მერი, არ უნდა წყვეტდეს იმ საკითხებს, რომელშიც ის არ არის კომპეტენტური. უკვე ამაზრუნენა

ის მომენტი, როცა ერთი თვით აღდრე იცი, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ის ლობიერებს ირინა ლომინაძეს იმ მოტივით, რომ მას აქვს კარგი ყური და ამიტომ უნდა იყოს სამხატვრო ხელმძღვანელი.“

ხატია ვედმედევა ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორის თანამდებობიდან იმდროინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გოგი ჭიჭინაძემ გაათავისუფლა. მოტივი თანხების არამიზნობრივი ხარჯვა იყო, რაც მალე ეგრეთ წოდებული „ეპილაკის“ სკანდალში გადაიზარდა. ქუთაისში ამბობდნენ, რომ ვედმედევა სალონის მომსახურების თანხას ბიუჯეტიდან იხდიდა. ყოფილმა დირექტორმა 11 თვე სასამართლოში იღავა და 2 ინსტანცია მოიგო.

„არის მომენტი, რომ მერს არ მოწონებდა ქუთაისში იმიტომ, რომ მას „ნაციონალი“ კადრები მოსწონს, მას მოწონს მია პაქსაძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ან დირექტო-

რის თანამდებობაზე, რომელიც არის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი და საერთოდ, მან რა იცის ოპერის თეატრზე?“ – აცხადებს ყოფილი დირექტორი ვედმედევა.

ქუთაისის მერი არ უარყოფს, რომ კულტურის სამინისტრომ კანდიდატების განხილვამდე მისი მოსაზრებაც იკითხა.

**შოთა მურღულია**, ქუთაისის მერი: „განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ ორ კანდიდატზე, ეს იყო ქალბატონი ლომინაძე და ბატონი ლაშა ნიჭაბაძე. მფარველობა რას ნიშნავს, ვერ ვხვდები, ან რატომ უნდა ვმფარველობდე – ეს ერთი, და მეორე – ჩემი გადასაწყვეტი არ არის, გამოცხადებულია კონკურსი და კანდიდატი კომისიაზე გადის“.

ვინ განდებდა ქუთაისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელი და როდის დასახელებს მას კულტურის მინისტრი, უწყება ზუსტ თარიღს არ ასახელებს.

## თბილისში ოთარ ქანდარიას ნამუშევრების გამოფენა იხსნება

23 მარტს, 5 საათზე, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიხსნება ქუთაისელი მხატვრის, ოთარ ქანდარიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

როგორც მხატვრის მეუღლემ, ქალბატონმა მანანა ლარცულიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, გამოფენა 2 დღეს გასტანს და აქ წარმოდგენილი იქნება ოთარ ქანდარიას სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი 50-მდე მხატვრული ტილო.



## ქუთაისში კიკვიძის ძეგლის დემონტაჟის ნებართვას ითხოვენ

ვასილ კიკვიძის ძეგლი კვლავ დავის საგანი ხდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლი“ ქუთაისის მერს ძეგლის დემონტაჟისკენ მოუწოდებს. მერის განცხადებით კი, ქამრების შემოჭერის დროს ძეგლის დემონტაჟზე ხარჯების გაწევა არამიზანშეწონილია. მერის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციაში პასუხობენ და ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მერია ძეგლის დემონტაჟისთვის ტენდერს სიმბოლურ თანხად გამოაცხადებს, საინიციატივო ჯგუფი დემონტაჟს უსასყიდლოდ მოახდენს.

„მიგვაჩნია, რომ მერის განცხადება: ქამრების შემოჭერის პოლიტიკის დროს, თითქოსდა, არამიზნობრივ ხარჯებს ვერ გაწევნებ — ალექსატურობას არის მოკლებული. თუმცა, მისასალმებელია ადგილობრივ ბიუჯეტში ერთი თეთრის დაზოგვა-ვიც კი. ამიტომ ვთხოვთ, გამოაცხადოთ ტენდერი სიმბოლურ ფასად და ჩვენ, საინიციატივო ჯგუფთან ერთად, უსასყიდლოდ მოვახდენთ უკრაინის ამოხრების ძეგლის დემონტაჟს. ამავდროულად, იმედს ვიტოვებთ, რომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა გაგრძელდება“, – ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვაში.



# გასულ წელს ქუთაისში სახსოვრებალი 194-მა პირმა მოითხოვა, თუმცა, ჭიკრი ვერსერტომა მიიღო

2012-13 წლების განმავლობაში თბილისის მერიას თავშესაფრის მოთხოვნით 10 000-მდე ოჯახმა მიმართა, მათგან „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით 24 ოჯახი დაკმაყოფილდა, 22 პირმა კი ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია მიიღო, – ამის შესახებ აღნიშნულია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში – „უფლება სათანადო საცხოვრისზე“.

რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებს, ანგარიშში ნათქვამია, რომ თბილისის მერიამ გასული წლის მონაცემები, მოთხოვნის მიუხედავად, ომბუდსმენის აპარატს არ მიაწოდა.

რაც შეეხება რეგიონებში არსებულ ვითარებას, ანგარიშის მიხედვით, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას, ამავე თხროვით, 2011, 2012 და 2013 წლებში 707-მა მოქალაქემ მიმართა და მხოლოდ 41 ოჯახი დაკმაყოფილდა. რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებს, ქუთაისში გასული წლის საცხოვრებელი უზრუნველყოფა 194 პირმა მოითხოვა, საიდანაც არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა.

ბათუმში 2012-13 წლებში თავშე-

საფრის მოთხოვნით, 1 650 განცხადება შევიდა. 2014 წელს კი საცხოვრებელი დაკმაყოფილებას 521 ოჯახმა მიმართა. 2010-2013 წლებში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 15 სოციალურად დაუცველი და 14 დევნილი ოჯახი. 2013 წელს დაკმაყოფილდა 5 მრავალშვილიანი ოჯახი, 2013-14 წლებში კი ბათუმის მერიამ 30 ბენეფიციარზე გათვლილი დროებითი თავშესაფარი მოაწყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში მწვავედ დგას საბინაო ფონდების არარსებობის პრობლემა. „არ არსებობს რაიმე სახის მარე-

გულირებელი აქტი/მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც გამგეობები უსახლკარო პირებს დააკმაყოფილებენ ბინის დასაქირავებლად საჭირო თანხით, შესაბამისად, არ არის გაწერილი, კონკრეტულად რა კრიტერიუმებით ხდება იმ ოჯახების შერჩევა, ვინც მიზნობრივი დახმარებით კმაყოფილდება“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2012, 2013 და 2014 წლებში უსახლკარო პირთა საჭიროებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ასევე ცენტრალური ხელისუფლება უნდა ქმნიდეს უსახლკარო პირთა მონაცემების ბაზას, თუმცა პრაქტიკაში ეს მოთხოვნა არ სრულდება, რაც

სტატუსის დადგენის მეთოდოლოგიის არარსებობას უკავშირდება.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეუძლებელია უსახლკარო პირების სოციალურად დაუცველთა ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა, რადგან, კანონმდებლობის თანახმად, ოჯახი, რომელსაც სურვილი აქვს განდეს პროგრამის ბენეფიციარი, აუცილებელია მუდმივად ცხოვრობდეს განცხადებულ საცხოვრებელ ფართზე.

„უსახლკაროთა ყველაზე მძიმე კატეგორია, რომლებიც დამეებს ქუჩაში, სადარბაზოებში, სკვერებში ათევენ, ვერ ხვდებიან სოციალურად დაუცველთა ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში, რაც იწვევს მათ სოციალურ გარიყულობასა და არაპირდაპირ დისკრიმინაციას“, – წერია ანგარიშში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უსახლკარო პირების სამართლებრივი დაცვისთვის აუცილებელია დაზუსტდეს უსახლკარო პირთა სამართლებრივი სტატუსი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პირთა წრე, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული დეფინიცია.

ომბუდსმენის მითითებით, ზემდინახსენებულ უნდა გაიწეროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებები და მათი მოქმედების ფარგლები, განისაზღვროს მათ შორის კოორდინაციის მექანიზმი.

ასევე, უნდა მოხდეს უსახლკარო პირთა საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული საჭირო სახსრების დაანგარიშება და მათი ეტაპობრივად მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტში.





ეპიდემიის რჩევები

გულის უკმარისობის დროს რა უნდა გავაკეთოთ და სწორი მკურნალობის მნიშვნელობა

დასავლეთ საქართველოს რეფერალური ჰოსპიტალის კარდიოლოგის, ზურაბ კლიმიაშვილის რჩევა

გულის უკმარისობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც 65 წელზე უფროსი ასაკის პაციენტთა საავადმყოფოში მოთავსების მთავარი მიზეზია. გულის ქრონიკული უკმარისობა ხშირად ნელა, შეუმჩნეველად ვითარდება. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი დაავადების პირველ ძირითად სიმპტომებს — ქოშინს, ადვილად დაღლასა და გულის ცემის სინძირის გაზრდას — უმნიშვნელო მოვლენებად მიიჩნევს, სხვადასხვა ახსნას უძებნის და სამკურნალო დაწესებულებაში მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. ამ სტადიაზე კი გულის უკმარისობის მკურნალობა გაცილებით რთულია. ამიტომ, ყველა საექიმო შემთხვევაში დროულ კონსულტაციას კარდიოლოგთან პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან თანამედროვე კარდიოლოგიის მიღწევების წყალობით შეიძლება გულის უკმარისობის წარმატებით მართვა და პაციენტისათვის არამარტო სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ კომფორტული და პარამონული ცხოვრების უზრუნველყოფა.




პროგნოზი ყოველი პაციენტისთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია გულის უკმარისობის გამოწვევებზე. პათოლოგიაზე, მის სიმძიმეზე, თანხმდებ დაავადებებზე, პაციენტის ასაკზე, გამოყენებული მედიკამენტური მკურნალობის ეფექტურობაზე, პაციენტის ცხოვრების სტილსა და სხვა ფაქტორებზე. გულის უკმარისობის, ისევე როგორც დაავადებათა უმრავლესობის, მკურნალობისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ე.წ. ჯანსაღი ცხოვრების წესს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ჯანსაღ კვებას, რეგულარულ, ზომიერ ფიზიკურ აქტივობას, ნორმალურ ძილს. ჯანსაღი კვების რეკომენდაციებში მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში თანაბრად განაწილებული 4-ჯერადი კვება ზომიერი ულუფებით, ბოლო კვება დაძინებამდე მინიმუმ 3-4 საათით ადრე უნდა იყოს, საკვები რაციონი არ უნდა იყოს დატვირთული ძველად მოსაწონებელი (ცხიმოში შემწვარ-მომხარკული, კონსერვები, ძხვეული, შებოლილი, დამარილებული და ა.შ.) პროდუქტებით. უნდა კონტროლდებოდეს დღე-ღამის განმავლობაში მიღებული სითხის ოდენობა შესაძლოა 1,2-1,5 ლიტრი იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამაში შედის ყველა თხევად საკვებში (ჩაიში, კომპოტში, წვინან კერძში) არსებული სითხე. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მიღებული და გამოყოფილი სითხის ბალანსს, კერძოდ, მიღებული სითხის რაოდენობა არ უნდა იყოს გამოყოფილზე მეტი, რისი გაკონტროლებაც ხშირად საკმაოდ გაძნელებულია, ამიტომ ძალიან საინტერესოა ექიმის რჩევა იმის შესახებ, რომ გულის უკმარისობის მქონე პაციენტებს სახლში უნდა ჰქონდეთ სასწორი და ყოველ დღით ადგომისას შეამოწმონ სხეულის წონა. თუ ჩვეული კვების პირობებში დააფიქსირეს, რომ წონა მატულობს, ამის მიზეზი, როგორც წესი, ორგანიზმში დაჩენილი ზედმეტი სითხეა. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ექიმთან კონსულტაციით, მედიკამენტურ მკურნალობაში შეტანილი გარკვეული კორექტივები მალევე აგვარებს პრობლემას და თავიდან აცილებს გართულებებს. 15-20 წლის წინათ მიჩნეოდა, რომ გულის უკმარისობისას პაციენტთა ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შეზღუდული უნდა ყოფილიყო. ამჟამად ეს შეხედულება შეიცვალა. დადგენილია, რომ დოზირებული ფიზიკური დატვირთვა არამცაუ ზიანს აყენებს პაციენტს, არამედ ზრდის მის ამტანობას და მე-

დიკამენტური მკურნალობის ეფექტს. გარდა ამისა, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა აუმჯობესებს განწყობას და ცხოვრების ხარისხს. ბუნებრივია, დატვირთვის ხასიათისა და მიზანშეწონილობის თემა ინდივიდუალურია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. გულის უკმარისობა ქრონიკული დაავადებაა და ხშირად ის ასოცირებულია ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან დაქვეითებასთან და პაციენტთა უიმედო-დებრესიულ განწყობასთან. აქ უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე კარდიოლოგიას გააჩნია საკმარისად ბევრი მედიკამენტური და არამედიკამენტური საშუალებები, რომელთაც ძალიან მაღალი დონის ეფექტურობა დაავადების მართვაში და დღეს, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფონზე, სწორად დაინიშნული მედიკამენტური მკურნალობით გულის უკმარისობის მქონე პაციენტებს შეუძლიათ იცხოვრონ სიმპტომებისა და მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე. ბოლოს კიდევ ერთი რჩევა, გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებმა კონსულტაციისათვის კარდიოლოგს უმჯობესია მიმართონ მაშინ, როცა თავს ნორმალურად, კარგად გრძობენ. ეს გაცილებით ეფექტურია, ვიდრე უკვე გართულებული მდგომარეობით მისვლა. თანამედროვე კარდიოლოგიის არსენალში საკმაოდ ბევრი საშუალებაა იმისათვის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად შეფასდეს მდგომარეობა, გართულებების რისკი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტივები იქნას შეტანილი მკურნალობაში. (R)

სვანურ ქუდს, საკრავსა და სამზარეულოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანების თანახმად სვანურ ქუდს, საკრავსა და სამზარეულოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ბრძანებაში მითითებულია, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა უძველესი დროიდან დღემდე საქართველოში გავრცელებულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემდეგ ობიექტებს, კერძოდ, სვანური ხალხური საკრავის „ჭუნირის“ დამზადების ტრადიციულ მეთოდს; სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგიას; ასევე ეს სტატუსი მიენიჭა სვანური სამზარეულოდან ფეტვიანი ხაჭაპური, კუბდარი, სვანური კუბედი, სვანური მარილი-სა და თამჯაბის დამზადების ტრადიციულ მეთოდს.



newposts.ge

ქართული ჩურჩხელა მსოფლიოს ყველაზე გემრიელი ტკბილეულის ათეულშია

თურქულ ფახლავასთან და იტალიურ ტირამისუსთან ერთად ყველაზე საყვარელი ქართული ჩურჩხელა მსოფლიოს ყველაზე გემრიელი ტკბილეულის ათეულშია. მართალია ჩურჩხელამ უკვე სახელი მსოფლიოშიც გაითქვა, მაგრამ კახეთში მისი რეალიზაციის პრობლემაზე საუბრობენ. „ანაზღაურების საფასური არ არის, მაგრამ რადგან გაჭირვებაა, ვწვლობ, რომ 10-20 თეთრი მაინც დამრჩეს ერთი ჩურჩხელიდან. ნიგოზი და ყურძენი გაძვირდა, შესაბამისად ძვირი გვიღება და მომხმარებლებსაც უჭირთ მისი ყიდვა.“ — აცხადებს ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც 25 წელია ჩურჩხელით ვაჭრობს. ტრადიციული წესით დამზადებული ჩურჩხელის შექმნა AMAZON.COM-ზეც შეიძლება. მომხმარებლებს სწორედ იმიტომ მოსწონს, რომ იგი შაქრის ფხენილისგან არ არის დამზადებული და ყურძნის ნატურალურ წვეს შეიცავს. რეიტინგის ათეულში მოხვედრამ, შესაძლებელია, საზღვარგარეთ ყურძნის რეალიზაცია უფრო გაზარდოს.

myrest.ge

რა არ უნდა შეუკვეთოთ სწრაფი კვების ობიექტებში ყოფილი თანამშრომლების რჩევები

იმ მომხმარებელთა უმეტესობა, ვინც სწრაფი კვების ობიექტებს იყენებს, დიდ ყურადღებას მომსახურების ტემპს აქცევს, მაგრამ გარდა სისწრაფისა საინტერესოა თუ რისგან მზადდება თქვენი საკვები. მაშინ როდესაც სწრაფი კვების გიგანტები გემრიელ პროდუქტებს გვთავაზობენ, რთულია თავი შეიკავო ცდუნებისგან, თუმცა მათი ყოფილი თანამშრომლები ხშირად აასკარავებენ სიმართლეს. მაშ ასე, რა არ უნდა შეუკვეთოთ სწრაფი კვების ობიექტებში და რატომ:

- სანდვიჩი მარცვლაულით** ცნობილი მექსიკური სწრაფი კვების ობიექტების მომსახურე პერსონალი გირჩევთ, არასდროს შეუკვეთოთ სენდვიჩი სტიკითა და მარცვლეულით. მარცვლეულს გამოუმრალ ინგრედიენტებს ურევენ გემოს დიდხანს შენარჩუნების მიზნით. ამ ინგრედიენტთა გამოყენება თმის შამპუნისას უტოლდება.
- პასტა** მსგავს რესტორნებში მორთმეული არც ერთი პასტა არ არის ახალი. თქვენ გთავაზობენ გაყინულ და დიდი ხნის შენახულ პასტას, რომელსაც მიკროტალღურ ლუმენში ათბობენ. თუნდაც ყველიან და სოუსიან პასტებს.
- პენდის ჩილი** გენდის ჩილი გამოყენებული ჰამბურგერების ხორცისგან მზადდება. ხორცს მანამდე ინახავენ კონტეინერებში,

- სანამ საკმარისი რაოდენობა არ დაგროვდება და მარცვლეულთან და სანელებლებთან ერთად ამზადდები ჩილის.
- სტირბაქსის „საილუმო მინუს“ დეაქალები** საილუმოლო, რადგან ბარმენები ყოველი შეკვეთისას ახალ და საკუთარ ვარიანტებს გთავაზობენ. ორი ერთნაირი სასმელი ვერასდროს დამზადდება. ახალი გემოს აღმოჩენის მოყვარულებისთვის კარგია, მაგრამ სპეციფიკური ყავის მოყვარულებს ეს ამბავი არ გაახარებთ.
- KFC ბარბაქიუს სანდვიჩი** დიდხანსი სტაჟის მქონე თანამშრომელი ამბობს, რომ KFC-ს სენდვიჩში გამოყენებული ქათმის ხორცი იმდენად გამომარია, რომ უსახლკაროთაც კი არ აძლევს საკვებად. გადავადების ნაცვლად მას ბარბეკიუს სოუსში აწყობენ და ათავსებენ ლუმენში ერთი თვის განმავლობაში.

- დანძინ დონატის დონატები** დონატების მოყვარულებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ მათი საყვარელი ტკბილეული მაღაზიებს გაყინულ მდგომარეობაში მიეწოდება და შემდეგ ათბობენ.
- კინოთაბრავის პოპკორნი** ფილმის ყურებისას პოპკორნის მირთმევა ბევრს უყვარს. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ კინო-თეატრში სტუმრობისას როდის მიირთმევთ მას. დილის ან შუადღის სეანებზე პოპკორნი წინა დღისაა, მას უბრალოდ მიკროტალღურ ლუმენში ათბობენ.
- მაკდონალდის სასმელები** მაკდონალდის მომსახურე პერსონალს თუ ვენდობთ, ყავის მანქანები ყველაზე ნაკლებად იწმინდება. არც მომსახურე პერსონალმა და არც მენეჯერებმა არ იცინა მისი გასუფთავების ტექნიკა, მათში მომზადებული სასმელი კი საკმაოდ დაბინძურებულ მილს გადის.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს

სურსათის ეროვნული სააგენტო აფრთხილებს მოსახლეობას, არ მიირთვას შპს „რაჭას“, შპს „გიოს“, შპს „პროგრესი ალვანისა“ და შპს „პინოს“ მიერ წარმოებული გაყინული ხინკალი და პელმენი, რადგან მათში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი „ლისტერია მონოციტოგენი“, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და ორ-

სული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შპს „პინოს“ მიერ წარმოებულ პელმენში აღმოჩენილია ასევე სალმონელა, რომელიც საკვებისმიერი ინფექციური დაავადების — სალმონელოზის გამომწვევია და ადამიანს სურსათითა და წყლით გადაეცემა; ხასიათდება მრავალფეროვანი კლინიკური გამოვლინებებით. სალმონელოზი მიმდინარეობს უპირატესად საჭმლის მომწელებელი ორგანიზმების დაზიანებით; ახასიათებს გულსრევე, ღებინება, საერთო სისუსტე, ტკივილი მუცლის არეში, შემცივნება, ტემპერატურის მომატება. შპს „რაჭას“, შპს „გიოს“, შპს „პროგრესი ალვანისა“ და შპს „პინოს“ არაგემური ინსპექტირების შედეგად საწარმოო პროცესი შეუჩერდათ და ბიზნე-

სოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. კანონმდებლობის შესაბამისად, მათ დაევალიათ, უმოკლეს ვადაში გამოითხოვონ ბაზრიდან ყველა დასახელებისა და პარტიის სურსათი. სურსათის ბაზრები გამოთხოვასა და განდგურებაზე ზედამხედველობას განახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო.

nfa.gov.ge



# სიმსუქნე — გლობალური გამოწვევა

## სიმსუქნის გლობალური პრობლემა — 2,000,000,000,000 \$ წელიწადში

სიმსუქნის პრობლემის ისეთივე ეკონომიკური ზეგავლენა და ტვირთი ახასიათებს, როგორც ომსა და თამბაქოს მოხმარებას.

ბოლო პერიოდში სიმსუქნე მხოლოდ მალაქაზემისა და განვითარებულ ქვეყნებს აღარ უკავშირდება. ჰარბზონიანობისა და სიმსუქნის გავრცელებამ ყველა რეგიონში, მათ შორის დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც იმატა. დღესდღეობით ქვეყნების თითქმის ნახევარს ერთდროულად უწევს ებრძოლოს როგორც არასრულფასოვანი კვების, ასევე სიმსუქნის პრობლემას. საინტერესოა, რომ სიმსუქნე და არასრულფასოვანი კვება ხშირად იგივე სოციალური და იგივე ოჯახშიც კი გვხვდება. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები, მათ შორის შემოსავლის შედარებით ზრდა როგორც ღარიბ, ასევე საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში და გადამუშავებულ პროდუქტებზე შედარებით ხელმისაწვდომი ფასები ცხოველების წესის, მათ შორის დიეტური ქვეყნების ცვლილებისა და ფიზიკური აქტივობის გლობალურად შემცირების მიზეზი გახდა.

**2000-2013 წლებში სიმსუქნის მაჩვენებელი არც ერთ ქვეყანაში დაკლებულა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემების მიხედვით მსოფლიოში, დაახლოებით, 1.9 მილიონი ჰარბზონიანი ადამიანი, აქედან თითქმის მესამედი მსუქანია.**

ეს პრობლემა სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯებს იწვევს და თან ერთვის არასრულფასოვანი კვებისგან გამომდინარე დანახარჯებს, რისი ზილაც საზოგადოებას არ შეუძლია.

FAO-ს 2013 წლის საკვებისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ანგარიშიდან ჩანს, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თითქმის გარმავად სიმსუქნისგან გამოწვეული სოციალური ტვირთი. არაგადამდები დაავადებების ერთიანი ხარჯი კი, სადაც ჰარბზონიანობა და სიმსუქნე წამყვანი რისკ-ფაქტორებია, 2010 წელს, დაახლოებით, 1.4 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

ახლახანს მაკინსის გლობალურმა ინსტიტუტმა სიმსუქნის გლობალურ-



რი ფასი გამოთვალა. სიმსუქნისთან დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ჰიპერტენზიის, ინფარქტების, დიაბეტისა და ზოგიერთი სახის სიმსივნის მზარდი რისკის ჩათვლით სიმსუქნის ფასი წელიწადში, დაახლოებით, 2 ტრილიონი აშშ დოლარია, რაც მხოლოდ თამბაქოს მოხმარებასა (2.1 ტრილიონი) და შეიარაღებულ კონფლიქტებს ჩამოუვარდება (2.1 ტრილიონი).

წარმოდგინეთ, რამდენის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი თუ ეს თანხები შიშობის, არასრულფასოვანი კვების, საკვები ელემენტების ნაკლებობისა და სიმსუქნის მიზეზების აღმოფხვრას მოხმარდებოდა. აუცილებელია დაფინანსების გაზრდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზრდა არასრულფასოვანი კვების პრობლემის დაძლევის უფრო დიდი, ახლებური მიდგომის ნაწილი გახდება, უშუალო გამომწვევი მიზეზებს გაცდება და უფრო ფართო სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განხორციელებასაც მოიცავს.

სწორედ ამგაომწვევაზე იყო საუბარი 2014 წლის ნოემბერში გამართულ სა-

ერთაშორისო კონფერენციაზე კვებასთან დაკავშირებით (ICN2). აქ მთავრობებმა მიიღეს რომ ის დეკლარაცია სრულფასოვან კვებასთან დაკავშირებით და მისი თანხმობები სამოქმედო გეგმა, რითაც ვალდებულება აიღეს მოავადრონ არასრულფასოვან კვებასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო სპექტრი — საზრდოს ნაკლებობა, ზრდის შეფერხება, გაცირება, მიკროელემენტების დეფიციტი, სიმსუქნე და მსგავსი არაგადამდები დაავადებები.

**ამ ვალდებულებების განხორციელება არასრულფასოვანი კვების მოგვარების გზების მნიშვნელოვან ცვლილებას საჭიროებს. ეს ნიშნავს, რომ შედეგების მოგვარების ნაკვალაფი უნდა მიემართოს პრევენციას, ჯანსაღი და დაბალანსებული დიეტის მეშვეობით, რათა უფრო კარგად მოგვარდეს არასრულფასოვანი კვების გამოწვევი ძირითადი მიზეზები.** ამისათვის ახალი პოლიტიკის, სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება საჭირო. რამდენიმე იდეა: უპირველეს ყოვლისა, უნდა გავატაროთ საკვების სისტემის რეფორმები, რათა ყველას მიუწვდებოდეს ხელი უკეთესი ხარისხის საკვებზე. FAO-ს

2013 წლის საკვებისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ანგარიშმა აჩვენა, თუ რა ზეგავლენა აქვს საკვების სისტემების საკვების რაოდენობაზე, ხარისხზე, მრავალფეროვნებასა და შემადგენლობაზე და განსაზღვრავს მათ არსებობას, ხელმისაწვდომობასა და რამდენად მისაღება იგი. საკვების სისტემების რეფორმირება საჭირო ელემენტების შემცველი საკვების ზრდასა და განსაღამუშავებას მოითხოვს საჭირო საკვები ელემენტების დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

გარდა ამისა, მომხმარებელს უნდა შეეძლოს ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელიც ჯანსაღ კვების რეჟიმს უწყობს ხელს. ეს, გარდა ერთიანი ეფექტური პოლიტიკისა და სტრატეგიისა, პოლიტიკურ სურვილსა და ვალდებულებასაც მოითხოვს. საჭიროა მეტი ინვესტიცია სრულფასოვანი კვების საგანმანათლებლო პროგრამებში. სკოლებში, სამუშაო ადგილებშია თუ საზოგადოებაში კვების ჯანსაღი რეჟიმი ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს. საჭიროა მომხმარებლის ფორმალური თუ არაფორმალური გზით ინფორმირება მათ მიერ მოხმარებული საკვების შესახებ. ასეთი ინფორმირების ერთ-ერთი გზა

შესაბამისი ეტიკეტირებაა.

ასევე, საჭიროა ერთიანი ხელისა და მრავალპროფილიანი მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს მთავრობას, ფერმერებს, ჯანმრთელობის დაწესებულებებს, საცალო თუ სხვა შესაბამის საჯარო და კერძო სექტორებს, სამოქალაქო საზოგადოებას. არასათანადო კვების, მათ შორის სიმსუქნის სხვადასხვა მიზეზები ეფექტურ კოორდინაციასა და თანამშრომლობას მოითხოვს, ვინაიდან პრობლემის ცალკე, დამოუკიდებლად მოგვარება რომელიმე ერთი სექტორის ან დაწესებულების ძალეზე აღემატება.

**საკვებ სისტემებზე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენის მიზნით საჯარო და საინვესტიციო შეთანხმებების მომზადება საჭირო. საკვების არსებობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ეფექტურ ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.** თუმცა, ასეთმა შეთანხმებებმა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას არ უნდა შეუშალოს ხელი. ქვეყნების შიდა მეურნეობების სისტემების წარმატება არამხოლოდ ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას საკვების იმპორტზე, არამედ ხელს უწყობს კვებითი რეჟიმების უფრო მეტ მრავალფეროვნებას, იცავს საერთაშორისო ბაზრებზე საკვების ფასების ცვლილებებისგან და სამუშაო ადგილების ზრდით ამცირებს სიღარიბეს სოფლად.

საერთაშორისო კონფერენციამ (ICN2) სხვადასხვა მხარეებს საფუძველი შეუქმნა ერთად შეაჩერონ გლობალური სიმსუქნისა და ჰარბზონიანობის სწრაფადმზარდი პრობლემა. კარგად მუშაობის შემთხვევაში შედარებით დაბალი დანახარჯითაა შესაძლებელი არასათანადო კვების საკითხის (დაბალკალორიულობიდან სიმსუქნემდე) მოგვარება. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, რათა შევაჩეროთ სიმსუქნის ტენდენციები და წარსულს ჩავაბაროთ შიშობი და არასათანადო კვების ნებისმიერი ფორმა.

**ხოსე გრაციანო დასილვა,** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გენერალური დირექტორი

# მანანალა ცხოველები ურბანულ ტერიტორიაზე

psnews.ge-ს გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის კავკასიის რეგიონალური კონვენციური სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ჩხარტიშვილი ურბანული ეკოსისტემის ობიექტების უზენაესი დეველოპმენტის (ძალღებისა და კატების) რიცხოვნობის რეგულირების აუცილებელი ღონისძიებების შესახებ ესაუბრა.

— ქალაქ თბილისში ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მრავალი წლის განმავლობაში მწვავედ დგას უზენაესი დეველოპმენტის რიცხოვნობის შეზღუდვის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის შესაბამისი სამსახური იჭრის და სპობს დიდი რაოდენობით ძალღს, მათი რიცხოვნობა სისტემატიურად იზრდება (მაგალითად, თბილისისა და შემოგარენში წლების მიხედვით ასეთი იყო სტატისტიკა: 1980 წ. — 1500 ძალღ; 1900 წ. — 10000; 2000 წ. — თითქმის 27000; 2010 წ. — 35000-მდე). ამის მიზეზია ის, რომ იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომელთა გამოყენება თავისთავად გარანტიას იძლევა, რომ შედეგი არ იქნება! აღარაფერს ვამბობთ მეთოდების ამორალურობაზე. ასეთი მეთოდების გამოყენებას ერთადერთი შედეგი მოსდევს: მოსახლეობის სისასტიკის და აგრესიის ზრდა. ცხადია, რომ გამოყენებული მეთოდები ვერ უზრუნველყოფს უზენაეს დეველოპმენტის რიცხოვნობის, ასევე ცოფის და სხვა საშიში დაავადებების აღმოცენების საშიშროების შემცირებას. საქმე იმაშია, რომ ურბანულ ეკოსისტემაში ისეთივე

ბუნებრივი კანონები მუშაობს, როგორც ველურ ეკოსისტემაში. კერძოდ, პოპულაციიდან გარკვეული რაოდენობის ინდივიდების ამოღებისას დარჩენილი ინდივიდებისთვის იზრდება საკვები ბაზა, რასაც მოჰყვება მათი ნაშროთა რაოდენობის ზრდა. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გამოთავისუფლებული ეკოლოგიური ნიში

სწრაფად ივსება. პრობლემის გადაწყვეტის გზა უზენაეს დეველოპმენტის გამოვლენის შეზღუდვაა. ეს პროცესი 3 ეტაპისაგან უნდა შედგებოდეს:

1. ამ კატეგორიის ძალღების რიცხოვნობის აღრიცხვა, რომლის დროსაც დადგინდება პოპულაციის სივრცობრივი და სქესობრივი სტრუქტურა. ამ გზით მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდება შემდეგ ეტაპებზე ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა და საჭირო რესურსები.

2. ძალღების სტერილიზაცია და პარარელურად ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინირება.

3. სტერილიზებული და ვაქცინირებული ძალღების დაბრუნება იმ ადგილებზე, სადაც იყენებდნენ, რაც გამოირჩევა სხვა დაკავშირებული (ერთ ოჯახად შეკრული ან მოხეტიალე ინდივიდების ჯგუფის) ძალღების შემოღებისგან. თუ გავითვალისწინებთ ამ კატეგორიის ძალღების სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელიც 5-დან 6 წლამდე შეადგენს, გამოვა, რომ შემოთავაზებული მეთოდი შედეგს მოგვცემს არა ათწლეულების შემდეგ, არამედ შეუძლებლად ხანმოკლე ვადაში. დღეის მდგომარეობით მსხვილი მუნიციპალური თავშესაფრების პროგრამების, ასევე უზენაეს დეველოპმენტისა და კატების რიცხოვნობის რეგულირების ღონისძიებების პროგრამებისა და ქვეპროგრამების არარსებობა იწვევს ქვეყანაში ურბანული ეკოსისტემების ობიექტების რიცხოვნობის ზრდას, ხოლო პოპულაციის უკონტროლობა იწვევს დაავადებების გავრცელებას, რაც მნიშვნელოვანწილად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას მწვავე პრობლემებს უქმნის. ერთადერთი ალტერნატიულ გამოსავლად გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის კავკასიის რეგიონალური კონვენციური სამსახურის მიანაა ურბანული ეკოსისტემის ობიექტების რიცხოვნობის რეგულირების ეროვნული კანონ-

მდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ღირებულებებთან. ცნობილია „შინაურ ცხოველთა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის ძირითადი პრინციპები: ცხოველთა ტანჯვისა და ტვირის მიყენების, ასევე ცხოველთა მრთვების აკრძალვა, ხოლო ასოცირების შეთანხმების 50-ე მუხლის შესაბამისად მხარეებმა უნდა მიიღონ ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებთან დაკავშირებით საერთო აზრს, ხოლო კეთილდღეობის სტანდარტები გაერთიანდა აღნიშნული შეთანხმების IV\_B დანართში, შესაბამისად სახელმწიფოს აქვს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება ამ რეგულაციების ამოქმედებაზე. ასევე მნიშვნელოვანდ მიგვაჩნია, განხორციელდეს უზენაეს დეველოპმენტისა და კატების რიცხოვნობის რეგულირების ღონისძიებები სწორედ ევროკავშირის დირექტივების პირდაპირი გათვალისწინებით. იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ქვეყანაში ურბანული ეკოსისტემის ობიექტების პრობლემები, აუცილებელია ჩატარდეს კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს პოპულაციის რიცხოვნობის იდენტიფიცირებასა და მათ მიმართ შემდგომი ვეტერინარულ-პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

**როლანდ ხოჯანაშვილი**



კვირის პროსოკოვი

ვერძი: შესაფერისი დროა ახლოდღეობა ადამიანებთან ან საყვარელ ადამიანთან დროის გასატარებლად. ნუ იტყვი უარს მეგობრების შემოთავაზებაზე, ასე თქვენ შეძლებთ მათთან ურთიერთობას და თან დროს გაატარებთ თქვენს მეორე ნახევართან.

კურო: იმედი ისეთ საკითხზე გაციკუნდებით, საერთოდ რომ არ ელით. ხოლო იქ, სადაც წარუმატებლობას მოელით, ყველაფერი კარგად ჩაივლის. მზად იყავით მოულოდნელი სიურპრიზებისათვის.

ტყულები: გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველაფერს, რასაც გარშემომყოფები ამბობენ. მათ აქვთ მიზეზები ამის სათქმელად, თქვენ კი შეეცადეთ, ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ შემოატრიალოთ. ისწავლეთ თქვენი ინტერესების გატანა, ასე ბევრს მიაღწევთ.

კირჩხიბი: შეიძლება იმედი დაკარგოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. შეეცადეთ იმედაცრუებას და ცუდ ხასიათს არ დაუბნდეთ. ძალა მოიკრიბეთ და ყველაფერი კარგად იქნება, დასახულ მიზნებს მხოლოდ ასე თუ მიაღწევთ. იყავით თანმიმდევრული.

ლომი: შეეცადეთ, მაქსიმალური ძალისხმევა დაატანოთ, რათა გააკეთოთ ყველაფერი. თქვენზე ბევრია დამოკიდებული და ბევრს სჯერა თქვენი. ნუ გაუცრუებთ მათ იმედებს და დაუმტკიცეთ, რომ ბევრი რამ შეგიძლიათ და რომ ყველა თქვენი ტალანტი ბოლომდე გამოიყენებთ არ გაქვთ.

ქალწული: გირჩევთ, იყო უფრო თავდაჯერებული და გამოამყაროთ შორსმჭვრეტელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპირისპირება და კონფლიქტები არ აცდებთ. ეს უფრო ოჯახის წევრებთან არის მოსალოდნელი, ამიტომ, მათ მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ.

სასწორი: შეეცადეთ, ღირსეულად დაიჭიროთ თავი, ნუ შეარცხვენთ მათ, ვისაც თქვენი იმედი აქვს. გაგიძლიერებთ სასიცოცხლო პოტენციალი და შემოქმედებითი უნარი, ამავ დროს გამოჩნდებიან ახალი და, ამასთან აქტიური პარტნიორები, რომლებიც საჭირო დახმარებას გააწევენ, ეს კი, ცხადია, გაგიაღვივებთ ყველა საჭირობორტო საკითხის მოგვარებას.

მორიგი: თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. თქვენზე ბევრია დამოკიდებული, თქვენი საქციელი მომავალში განსაზღვრავს ბევრი ადამიანის ბედს. ყველას არ ძალუძს ასეთი ტვირთის საკუთარ თავზე ატობა. თქვენ მზად ხართ? შეეცადეთ, გამოაცდინოთ ხალხის დახმარებით ისარგებლოთ.

მშვილდოსანი: ჯიუტად არ გასურთ ჩვეული საქმიანობის კურსის, ახლებურთ ტაქტიკით ჩანაცვლება, რომელსაც გარშემომყოფნი დაიხმარებთ გირჩევენ. ეს დღეები არცთუ იოლი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დაგაყენებთ.

თხის რქა: ვარსკვლავები ერთობ წარმატებულ კვირას გპირდებიან. ექვი ნუ შეგებარებთ საკუთარ შესაძლებლობებში, პროფესიონალიზმსა და მომხიბვლელობაში. ყველაფერი იოლად და ერთნაირი წარმატებით გამოვივათ. ამას გარდა, ეს დღეები იმის შესაძლებლობასაც გაძლევთ, საზოგადოების თვალში სტატუსი აიძალოთ.

მერწყული: თქვენში ემოციური განწყობა იმდენად ძლიერდება, რომ შესაძლოა ხვალისთვის გადადოთ სამსახურის საქმეები. სამაგიეროდ შესანიშნავი შანსი მოეცემათ, პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები მოავაროთ. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი, ორივესთვის მისაღები და სასურველი კომპრომისის მიღწევით დასრულდება.

თევზები: ისწავლეთ პრიორიტეტების გამოყოფა. ის რითიც დაკავებულია თქვენი გონება, ამჟამად შეიძლება სულაც არაა აქტუალური. დროს მიზეზების ძებნაზე ნუ დახარჯავთ. ცვლილებები ნუ შეგაინებთ.

# „არ მჭირდება ქვრივობით ინიცირებული „ნებართვა“, მე „მე“ ვარ!“



ჩვენი პირველი შეხვედრა სამსახურებრივი იყო. რედაქციაში დაგვიკავშირდა და ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო“-ში მიმდინარე მოვლენების გაშუქება გვთხოვა. ჩავთვალე, რომ ჩვეულებრივი რიგითი შეხვედრა იყო და უხალისოდ გავეგზავნე დანიშნულ ადგილზე.

ცენტრში შესვლისთანავე ბავშვების ალყაში აღმოვჩნდი. პატარა მასპინძლები სტუმარის გაცნობას ცდილობდნენ.

ალბათ, როგორი რთულია აქ მუშაობა — გაგიფიქრე და დირექტორის ოთახში შევედი. ლამაზთვანულა და მომხიბვლელი იმდენიანი ქალბატონი დამხვდა, რომელმაც ცენტრში არსებულ პრობლემებზე, სახელმწიფოს არასათანადო დამოკიდებულებასა და ბავშვების ცენტრის მიღმა დარჩენის საფრთხეზე ისაუბრა. ცდილობდა, სწორი მისივნებით მიექცია შესაბამისი ორგანოების ყურადღება, ეჩვენებინა — როდენ მნიშვნელოვანია მცირედი ქველმოქმედებაც კი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი ცენტრი უსასრობის გამო არ გაუქმდეს. საუბრის დასასრულს ცენტრის ბენეფიციარები სათითაოდ გამაცნო, ბავშვები ღიმილით და ტანით ცდილობდნენ მის მიმართ სიყვარულის გამოხატვას.

მივხვდი, რომ ცენტრში მუშაობის სირთულის შეფასებისას ვიჩქარე, რადგან ბავშვების გულწრფელი სიყვარული ბრძოლისთვის არცთუ პატარა მიზეზი იყო. შემდგომ რამდენჯერმე შეხვედრით ერთმანეთს ცენტრში დავგვიძლიონისძიებებზე, შშმ პირთა აქციებზე, თვითმმართველობის არჩევნებზე...

ნათია გულდავას, აქტიურობიდან გამომდინარე, ქუთაისში კარგად იცნობენ, თუმცა, თვლის, რომ ერთი ჩვეულებრივი ქალია, რომელიც სხვისი უფლებებისთვის იბრძვის.

„ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. თუმცა, ბავშვობიდანვე მეტყობოდა ხასიათის სიმტკიცე. მაშინ უფრო სიჭიქე ერქვა ამას. ყოველთვის მიყვარდა სიხალეები, სოციალური აქტივობები, კომუნიკაცია ახალ ადამიანებთან... ახლა მეცინება ბევრ ისტორიაზე და საკმაოდ რთული გარდატეხის ასაკი მქონდა, ზედმეტად დამოუკიდებელი და თავდაჯერებული ვიყავი. კარგად მახსოვს 1989 წლის 9 აპრი-

ლი და თანხლები მოვლენები... უკვე გააზრებულად მოვიხსენიებ სასკოლო ფორმიდან თეთრი საყვარული და წითელი ყელსახვევი, მასწავლებლის წინააღმდეგობის მიუხედავად „ვაპროტესტებდი“ საქართველოს ოკუპაციას, გაკვეთილზე და ხანდახან — მიტინგზეც.

ძალიან პატარა დავქორწინდი, თუმცა ოჯახური თანაცხოვრება მალე დასრულდა, მყავს „ანი“ ვაჟიშვილი, რომელიც 21 წლისაა. ამბობს, რომ ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება არ აქვს, თუმცა, რაც აქვს სულ „მისია“. განსაკუთრებული სიყვარულით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობას, მათზე ზრუნვის და მათი უფლებების გასაძლიერებლად შრომას იხსენებს.

„ჩემი ერთ-ერთი სამსახურებრივი გამოცდილება ბავშვებს უკავშირდება... ბავშვები სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობით... რთული იყო სფეროში შესვლა, განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი გამოცდილება. ელდის და პირველი ბარიერების გადალახვის შემდეგ, დგება განსაკუთრებული მოტივაცია და პასუხისმგებლობა, ბოლომდე დაიხარჯო და გააკეთო ის, რისი ვალდებულებაც გაქვს.

ხანდახან ეს ვალდებულება გაცილებით „მკირე“ და მსუბუქია, ვიდრე ისტორიები, როგორც პროფესიონალი, მაგრამ როგორც კი ემოცია მოდის წინ და ტრადიციული, „ადამიანური“ გზებით ცდილობ საქმის კეთებას, საქმე რთულდება და ბარიერები მრავლდება. სოციალურ სფეროში, განსაკუთრებით ბავშვებთან, მნიშვნელოვანია საკითხისადმი პროფესიული, გააზრებული მიდგომა, გუნდური მუშაობა და ნდობა.“

მოგვიანებით ძაღვების მოსინჯვას პოლიტიკაშიც შევეცა და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში დამოუკიდებელ კანდიდატად დარეგისტრირდი. იყო ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიური ქალი, რომელიც საკრებულოს მანდატის მოპოვებას თანაქალაქელების უფლებების დასაცავად და უკეთესი

მომავლისთვის ცდილობდა. როგორც აღნიშნავს, თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა მოპოვებით, მეტი პროგრამების გატანას და ბიუჯეტისთვის უფრო სოციალური აქცენტის შემატებას შეძლეს. ამჟამად თბილისის მერიის ტექნოლოგიური განვითარების ფონდში მუშაობს. თვლის, რომ, პოლიტიკით და მმართველობით დაინტერესება ახლა უფრო მტკიცე და სტრუქტურირებულია, უფრო არგუმენტირებული და მკაფიო. ქალბატონებსაც გააქტიურებისკენ მოუწოდებს.

„ქალის როლი, ქალთა უფლებები, ქალები ცვლილებებისთვის — ეს მნიშვნელოვანი საკითხებია. ხანდახან უკიდურესი და არარაციონალური ფემინისტი ვხდები... ვინ დააწესა ეს როლები? როდის? რატომ? პრობლემის მოსაგვარებლად და საქმის საკეთებლად რა საჭიროა როლების დიფერენცირება? ახალს ვერაფერს ვიტყვი, ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებით, სოციუმის განვითარების და ზოგადი განათლების მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია გენდერულ თანასწორობასთან... რაც უფრო მაღალია საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი, მით უფრო არადისკრიმინაციული, არაძალადობრივი და ტოლერანტულია გარემო. განვითარებულ გარემოში ინდივიდები აღწევენ წარმატებას, ინდივიდები იღებენ გადაწყვეტილებას, ინდივიდები ადგენენ და ახორციელებენ ვეგმებს და არა გენდერული ნიშნით „დადამსულები“, ქალები ან კაცები, მორწმუნენი ან ურწმუნონი, ჰეტერო ან ბისექსუალები.

მე, ჩემი შინაგანი დამოკიდებულებით, არ ვარ მომხრე გენდერული ქვრივების, არ მჭირდება ქვრივებით ინიცირებული „ნებართვა“. მე „მე“ ვარ და მინდა, მიმიწვდებოდეს ხელი, ხმა და შესაძლებლობა იქამდე, ვიდრე შევძლებ, ჩემი, დამოუკიდებლად. თუმცა... ვიზრებ რა ძალიან წვრილმან ნიუანსებს: „ქალი ვიცი კუნაში“, „ქალს რა უნდა საქმესთან“, „პატრონს უნდა ჩაბარდე“ — ჯერ კიდევ მძლავრად არის ჩვენში, სხვა გზას ვერ ვხედავ ქალების გააქტიურებისთვის. კაცებო, ცოტა გაიწიეთ! ქალებო, გამოდით „კარში“!

ნანტან ჩაბალიძე

**ვინ არის უომოზე?**

პასუხი წინა ნომრის უომო-ვიკტორინაზე

ცნობილი ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი პირველად სულიყო ფუტკარაძემ ამოიცნო, შემდეგ ლუიზა ლაკერბაიამ.

რას დაარქვამდით?

მინი თარბაშაძე

ირაკლი ღარიბაშვილი

ნატოს კარზე ლარიბ ქვეყნებს მხოლოდ დაკავებით მიიღებენ?

შაქო ლატაკიშვილი

**ქაროსნოვანი**

**პირიზონტალურად:** 3. უბრწყინვალესი ვარსკვლავი ღამის ცაზე; 5. მოწონების შექმნის ოპერაში; 6. მწვერვლის საფრანგეთში ... ბლანი; 8. ქლაქი ... ფრანცისკო; 9. ტანსაცმლის ბოლოზე შემოვლებული ზოლი; 11. მე-20 ბერძნული ასო.

**ვერტიკალურად:** 1. იგევა, რაც ბატყანი; 2. გამაფრთხილებელი ტივიტივა ზღვაში; 3. ბერძნული ცეცვა; 4. ქართველი პოეტი ... ველოშვილი; 7. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 10. პირველი სამნიშნა რიცხვი.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**პირიზონტალურად:** 3. პიპარქე; 5. სპილო; 6. უგო; 8. მია; 9. ვაშლი; 11. ისტროსო.

**ვერტიკალურად:** 1. ოპალი; 2. ერა; 3. პიპნოსი; 4. ენგელსი; 7. კანოე; 10. შტო.

**სადიკა**

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამოვრდეს!

7	3					6	5	
		1		3	7			
8		9	7					
	8	1			7	2		
		6		3	1			
	7		2	8				3
	4		7					9
5								
1					5	4		8

